



ფინანსური აუდიტის ანგარიში





სახელმწიფო აუდიტის სამსახური

„ვაშტიკიშვიტ“

ეკონომიკური საქმიანობის სფეროს აუდიტის
დეპარტამენტის უფროსის მოადგილე
სალომე სანებლიძე

19 აგვისტო 2019 წელი

N 45/36

ვგზ.: N 1

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის სამინისტრო

2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო პერიოდისთვის
კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების
აუდიტის ანგარიში

შინაარსი

ძირითადი ნაწილი	ტერმინები და შემოკლებები	2
	ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ	3
	დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე	4
	1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები	5
	2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი	12
	3. სხვა გარემოებები	15
	4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა	17
დანართები	ფინანსური ანგარიშგების ფორმები	20
	საკონტაქტო ინფორმაცია	25

ტერმინები და შემოკლებები

აღრიცხვის ინსტრუქცია – „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქცია;

დეპარტამენტი – სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი;

მინისტრი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი;

სამინისტრო – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო;

სამინისტროს აპარატი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს აპარატი;

სსდ – სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება;

ფონდი – სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი;

ცენტრი – სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი.

ზოგადი ინფორმაცია აუდიტის ობიექტის შესახებ

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს მთავარი ამოცანაა ქვეყნის რეგიონებში გრძელვადიან სარგებელზე გათვლილი ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელება, საერთაშორისო და შიდასახელმწიფოებრივი მნიშვნელობის საავტომობილო გზების განვითარება, მოსახლეობის წყლით მომარაგების სისტემების დანერგვა და განვითარების ღონისძიებათა უზრუნველყოფა, არასახიფათო ნარჩენების ნაგავსაყრელების მოწყობა, ნარჩენების გადამტვირთავი სადგურების მოწყობა და მართვა.

ცხრილი N1. ინფორმაცია სამინისტროს 2018 წლის დამტკიცებული, დაზუსტებული ბიუჯეტისა და საკასო ხარჯის შესახებ¹ (ათას ლარებში):

დასახელება	დამტკიცებული	დაზუსტებული	სხვაობა %	საკასო
სულ სამინისტრო	1,565,000	1,584,100	1%	1,668,777
მომუშავეთა რიცხოვნობა	382	-	-	-
ხარჯები	446,221	176,136	-61%	177,463
შრომის ანაზღაურება	10,180	8,954	-12%	8,989
არაფინანსური აქტივების ზრდა	936,439	1,229,452	31%	1,302,619
ფინანსური აქტივების ზრდა	182,340	178,510	-2%	188,694
ვალდებულებების კლება	-	-	-	-

ცხრილი N2. ინფორმაცია ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსების გადანაწილების შესახებ² (ათას ლარებში):

საბალანსო ერთეულის დასახელება	1,668,777	100%
სამინისტროს აპარატი	186,423	11.17%
სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი	277,190	16.61%
სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	769,212	46.09%
სსდ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი	435,117	26.08%
სსიპ – ვანო ხუხუნიაშვილის სახელობის ევექტიანი მმართველობის სისტემისა და ტერიტორიული მოწყობის რეფორმის ცენტრი	232	0.01%
სსიპ – ანაკლიის ღრმაწყლოვანი ნავსადგურის განვითარების სააგენტო	603	0.04%

¹ 2018 წლის დამტკიცებულ და დაზუსტებულ ბიუჯეტს შორის ძირითადი ცვლილებები გამოვლენილია „ხარჯების“ და „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში, რაც ძირითადად გამოწვეულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის N672 ბრძანებაში – „საქართველოს საბიუჯეტო კლასიფიკაცია“, შეტანილი ცვლილებით, კერძოდ: „ხარჯების“ მუხლიდან, დაახლოებით, 280 მლნ ლარი გადატანილია „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლში.

² ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2 - ის მიხედვით, გარდა ბიუჯეტიდან მიღებული დაფინანსებისა, საკუთარმა შემოსავლებმა შეადგინა 20,099,310 ლარი, რომელიც ძირითადად შედგება ფონდის საპროცენტო შემოსავლებისგან.

დასკვნა ფინანსურ ანგარიშგებაზე

საქართველოს რეგიონული
განვითარებისა და
ინფრასტრუქტურის
სამინისტროს ხელმძღვანელობას

უარყოფითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების აუდიტი, რომელიც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და მასთან დაკავშირებული ფინანსური შედეგების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, კაპიტალში ცვლილებების შესახებ კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ბიუჯეტისა და ფაქტობრივი თანხების შედარების კონსოლიდირებულ ანგარიშგებას, ასევე მათთან დაკავშირებულ კონსოლიდირებულ დანართებს³ მოცემული თარიღით დასრულებული სააღრიცხვო პერიოდისათვის.

ჩვენი აზრით, უარყოფითი მოსაზრების საფუძვლების აბზაცში აღწერილი საკითხების კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე გავლენის მნიშვნელობის გამო, წარმოდგენილი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება სამართლიანად არ ასახავს საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს კონსოლიდირებულ ფინანსურ მდგომარეობას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით. ასევე: მისი საქმიანობის კონსოლიდირებულ ფინანსურ შედეგებს და კონსოლიდირებულ ფულადი სახსრების მოძრაობას იმ წლისთვის, რომელიც დასრულდა მოცემული თარიღით „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად.

³ „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება. დანართები 1-დან 13-ის ჩათვლით.

1. უარყოფითი მოსაზრების საფუძვლები

საკითხი 1.1

სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში საგადასახადო აქტივი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 1,121,974 ლარს,⁴ ხოლო ორგანიზაციის საგადასახადო ბარათზე ჯამური დადებითი სალდო შეადგენს 3,940,385 ლარს. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში ასახული თანხის სისწორეში.

საკითხი 1.2

სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდი 2016 წლიდან განკარგავს „ქალაქ ჭიათურაში მდებარე ქალაქის ცენტრის პერიფერიებთან დამაკავშირებელი ურბანული მექანიკური საბაგიროების აღჭურვილობის განახლების“ პროექტს, რომლის მშენებლობაც ფინანსდება საფრანგეთის მთავრობის სესხით, საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა და საფრანგეთის მთავრობას შორის გაფორმებული სასესხო ხელშეკრულების საფუძველზე. პროექტის შემსრულებელია ფრანგული კომპანია POMA (შემდგომ – კონტრაქტორი).

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, საფრანგეთის მთავრობის მიმართ გადასახდელმა სასესხო ვალდებულებამ შეადგინა 11,825,492 ევრო, რომელიც ხელშეკრულების პირობის შესაბამისად წარმოშობილია საფრანგეთის მთავრობის მიერ კონტრაქტორის მიმართ განხორციელებული პირდაპირი გადახდებით.

მუნიციპალური განვითარების ფონდიდან მიღებული ინფორმაციით, 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, ორგანიზაციას პროექტის ფარგლებში კონტრაქტორისგან მიღებული აქვს არა 11,825,492 ევროს, არამედ – 10,825,001 ევროს სამუშაოების შესრულების დოკუმენტაცია, რაც ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში კომპანია POMA-ს მიმართ წარმოშობს 1,000,492 ევროს მოთხოვნას.⁵ აუდიტის პროცესში აღნიშნული მოთხოვნა მესამე პირის დასტურის წერილით ვერ დადასტურდა, რადგან კომპანია POMA ქართული მხარის მიმართ ნაკისრ ვალდებულებებს შესრულებულად თვლის და არ აღიარებს ფონდის მოთხოვნას.

ზემოაღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ მიუხედავად დაკისრებული ფუნქციისა, კომპანია POMA-ს მიერ განხორციელებული პროექტის ფარგლებში, ფონდს არ აქვს დანერგილი სათანადო კონტროლის მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს სამუშაოების ზედამხედველობასა და გადახდილი თანხის შესრულებულ სამუშაოებთან შესაბამისობის დადგენას. რაც, ასევე შექმნიდა ფინანსურ ანგარიშგებაში აღიარებული მოთხოვნის სამართლიანობისა და უტყუარობის საფუძველს.

შესრულებული სამუშაოების ზედამხედველობა და საკმარისი კონტროლის მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვანია სამართლიანი აღრიცხვისთვის, პროექტის დროულად და ეფექტიანად განხორციელებისთვის და ასევე სახელმწიფოს მიერ გადასახდელი სესხის მიზნობრიობის დასადასტურებლად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

⁴ აღნიშნული თანხა ძირითადად მოიცავს დამატებული ღირებულების გადასახადს.

⁵ მოთხოვნა აღრიცხულია „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში.

მომზადებული კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში 1,000,492 ევროს მოთხოვნის უფლებაზე.

საკითხი 1.3 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა აზიის განვითარების ბანკის პროექტის⁶ ფარგლებში ქ. ფოთში განახორციელა კანალიზაციის სატუმბო სადგურებისა და წყალმომარაგების ქსელის რეაბილიტაცია, რომლის საფუძველს წარმოადგენს ქ. ფოთის მუნიციპალიტეტთან გაფორმებული პროექტის საინვესტიციო დაფინანსების ხელშეკრულებები.

აღნიშნული ხელშეკრულებებით ქ. ფოთის მუნიციპალიტეტს ფონდის მიმართ წარმოეშვა სასესხო დავალიანება, რომლის ნაშთი 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენს 4,057,004 ლარს⁷ და წარმოადგენს ვადაგადაცილებულ მოთხოვნას.⁸ სესხის გადახდაზე მუნიციპალიტეტმა უარი განაცხადა, ვინაიდან პროექტის შედეგად მიღებული აქტივი მთავრობის განკარგულებით⁹ გადაეცა შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანიას“, რომლის პარტნიორის უფლებამოსილებას ახორციელებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული კომპანიის 100%-იანი წილის მმართველი – საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო და მუნიციპალიტეტი აღარ არის აქტივის განმკარგავი.

აღსანიშნავია, რომ ფონდის შემოსავლები და მის მიერ სხვა პროექტების განხორციელება დამოკიდებულია მუნიციპალიტეტების მიერ საინვესტიციო ხელშეკრულებებით აღებული სასესხო ვალდებულებების კეთილსინდისიერად შესრულებაზე. აღნიშნულ საკითხზე აზიის განვითარების ბანკის პროექტების ადგილობრივი მმართველისგან ფონდს მიღებული აქვს არაერთი გაფრთხილება, რათა საკითხი დროულად გადაწყდეს და მუნიციპალიტეტმა უპირობოდ შეასრულოს ფონდის წინაშე სასესხო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, საკითხი დღემდე მოუგვარებელია.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები ვადაგადაცილებული მოთხოვნის მისაღებად განხორციელებული ღონისძიებების შესახებ. შესაბამისად, ვერ გამოვთქვამთ მოსაზრებას, რამდენად აკმაყოფილებს აღნიშნული თანხები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საკითხი 1.4 ძირითადი აქტივები

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივები“ ასახულია 1,475,974,972 ლარის ოდენობით. აქედან, 103,236,067 ლარის აქტივები წარმოშობილია 2006-2017 წლებში. აღნიშნული აქტივები შედგება საპროექტო სამუშაოების, დაუმთავრებელი მშენებლობების, საკონსულტაციო მომსახურების და სხვა აქტივებისგან, აღსანიშნავია, რომ ზემოხსენებულ აქტივებზე 2018 წელს არ განხორციელებულა კაპიტალური დანახარჯები.

ამასთანავე, დეპარტამენტის სტრუქტურულ ერთეულებს, რომლებიც ჩართული არიან საპროექტო, საზედამხედველო და სამშენებლო-სარეაბილიტაციო პროცესში არ გააჩნიათ სრულყოფილი ინფორმაცია ზემოხსენებულ აქტივებთან დაკავშირებით. ასევე დეპარტამენტს შემუშავებული არ აქვს უახლოეს

⁶ „მუნიციპალური მომსახურების განვითარება“ (MSDP-ADB).

⁷ 2,143,360 ლარი – სესხის ძირი და 1,913,643 ლარი – დარიცხული პროცენტი.

⁸ მოთხოვნა წარმოშობილია 2010 წელს

⁹ ფონდმა ვერ წარმოგვიდგინა აღნიშნული მთავრობის განკარგულება.

მომავალში მათი გამოყენების გეგმა. შესაბამისად, ჩვენ ვერ დავრწმუნდით რამდენად აკმაყოფილებენ აღნიშნული დაუმთავრებელი ძირითადი საშუალებები, აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

შესაბამისი კონტროლის მექანიზმების არსებობა მნიშვნელოვანია როგორც სწორი ფინანსური აღრიცხვის, ასევე პროექტების განხორციელების სხვადასხვა ეტაპზე ხარვეზების დროულად გამოვლენისა და შესაბამისი რეაგირების მიზნით, რაც უზრუნველყოფს აქტივებში გადახდილი თანხების ეკონომიურ და ეფექტიან ხარჯვას.

შესაბამისად, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაფერისი მტკიცებულებები, აქტივების სამომავლო გამოყენებასთან დაკავშირებული ღონისძიებების შესახებ და რამდენად აკმაყოფილებენ აღნიშნული ძირითადი საშუალებები აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

გარდა ზემოაღნიშნულისა, 2018 წელს დეპარტამენტმა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის რეკომენდაციის საფუძველზე, „დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების“ მუხლიდან „ძირითად აქტივებში“ გადაიტანა 2011-2017 წლებში დასრულებული¹⁰ 792,768,792 ლარის ღირებულების აქტივი. თუმცა, დეპარტამენტმა არ დაარიცხა ცვეთის ხარჯი ექსპლუატაციაში შესვლის თარიღების შესაბამისად. ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისათვის, ზემოაღნიშნული იწვევს მნიშვნელოვან სხვაობებს ფინანსურ ანგარიშგებაში წარდგენილ აქტივების ნაშთებსა და „კაპიტალის მოხმარების“ ანგარიშზე საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2010 წლის 25 აგვისტოს N672 ბრძანების შესაბამისად. აუდიტის ჯგუფის მიერ გადათვლის შედეგად გამოვლინდა, რომ „ძირითადი აქტივების“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი 2018 წლის 1 იანვრამდე დაურიცხავი ცვეთის ხარჯით – 45,484,646 ლარის ოდენობით.

ამდენად, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „გრძელვადიანი აქტივები“ გაზრდილია 45,484,646 ლარით, ხოლო 103,236,067 ლარის აქტივის ნაშთზე ვერ მოვიპოვეთ საკმარისი და შესაფერისი მტკიცებულებები, თუ რამდენად აკმაყოფილებენ აქტივად აღიარების კრიტერიუმებს.

საკითხი 1.4.1 ძირითადი აქტივების ინვენტარიზაცია

ინვენტარიზაცია წარმოადგენს კონტროლის მექანიზმს, რომლის მიზანია დანაკლისის, ზედმეტობისა და დაზიანებული/გამოუსადეგარი ძირითადი აქტივების იდენტიფიცირება. შესაბამისად, ინვენტარიზაციის ჩატარება მნიშვნელოვანია იმაში დასაწმენდებლად, რომ ფინანსურ ანგარიშგებაში ასახული ყველა ძირითადი საშუალება რეალურად არსებობს და ამასთანავე, ორგანიზაციის მფლობელობაში არსებული ყველა ძირითადი საშუალება სრულად არის ასახული ფინანსურ ანგარიშგებაში.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი და სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდი არ ატარებენ დაუმთავრებელი ძირითადი აქტივების ინვენტარიზაციას, რაც მნიშვნელოვნად უშლის ხელს გამოუსადეგარი/შეჩერებული პროექტებისა და სამშენებლო სამუშაოების, ასევე ექსპლუატაციაში შესული ძირითად აქტივების დროულ იდენტიფიცირებას.

¹⁰ ექსპლუატაციაში შესული.

საკითხი 1.5**გრძელვადიანი ფინანსური
ვალდებულებები და
კრედიტორული
დავალიანებები**

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები“ შეადგენს 49,890,583 ლარს. აღსანიშნავია, რომ ფონდის მიერ არასწორ პერიოდშია აღრიცხული შპს „ინ-სის“ მიმართ წარმოშობილი 972,475 ლარის ვალდებულებები, რადგან პირველადი დოკუმენტები საოპერაციო პერიოდით ეკუთვნის 2018 წლის დეკემბერს, ხოლო ვალდებულება აღიარებულ იქნა 2019 წელს, როდესაც მოხდა აღნიშნული დავალიანების დაფარვა. გამომდინარე აქედან, 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ვალდებულებების და ხარჯის მუხლი არასწორად არის შემცირებული 972,475 ლარით.

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის მოცემული ინფორმაცია ისეთი 11 სასამართლო დავის შესახებ, რომელთა სავარაუდო თანხა ცნობილი იყო 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით და შეადგენდა 27 მლნ ლარს.

ფინანსური ანგარიშგების სამართლიანი წარდგენის¹¹ პრინციპიდან გამომდინარე, მიზანშეწონილია, ზემოაღნიშნული დავების შესახებ ინფორმაცია ასახული იყოს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში.

სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის მიერ წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“ მუხლში არ არის ასახული მომწოდებლის მიმართ დარიცხული ვალდებულებები 4,300,983 ლარის ოდენობით, ვინაიდან ცენტრი ფინანსურ ანგარიშგებას ამზადებს საკასო მეთოდით, რაც შეუსაბამოა აღრიცხვის ინსტრუქციასთან.¹² აქედან გამომდინარე, არასწორად არის შემცირებული „არაფინანსური აქტივების“ მუხლით გაწეული ხარჯიც.

ამდენად, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები“ მუხლი არასწორად არის შემცირებული 5,273,458 ლარით, ხოლო „გრანტების“ და „სუბსიდიის“ მუხლი, შესაბამისად, 972,475 და 4,300,983 ლარით.

საკითხი 1.6**ძირითადი კაპიტალის
მოხმარება**

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ფინანსურ ანგარიშგებაში ძირითადი კაპიტალის მოხმარების ხარჯი შეადგენს 102,097,553 ლარს. ცვეთის ხარჯი ორგანიზაციამ გაიანგარიშა ერთ-ერთი შიდა სტრუქტურული ერთეულის მიერ მომზადებული ბაზით. ამავე მონაცემებზე დაყრდნობით, აუდიტის ჯგუფმა გადათვალა ცვეთის ხარჯი და გამოვლინდა, რომ დეპარტამენტს ცვეთის ხარჯი აღრიცხული ჰქონდა 9,112,964 ლარით ნაკლები ოდენობით.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N1-ში „ძირითადი აქტივები“ არასწორად არის გაზრდილი 9,112,964 ლარით და ფორმა N2-ში „ძირითადი კაპიტალის მოხმარების“ მუხლი არასწორად არის შემცირებული 9,112,964 ლარით.

საკითხი 1.7**გრანტები (შემოსავალი)**

2018 წლის 27 აგვისტოს სამინისტროს აპარატსა და სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე ფონდს ჰქიათურის საბაგირო გზების რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის პროექტის ფარგლებში გადმოეცა სამინისტროს ბალანსზე

¹¹ აღრიცხვის ინსტრუქცია, მუხლი 25; მუხლი 185; მუხლი 17, პუნქტი „დ“.

¹² „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანება.

რიცხული 5,366,518 ლარის ფინანსური და 264,730 ლარის ღირებულების არაფინანსური აქტივი. გადმოცემული აქტივი წარმოადგენდა 2015 წელს სამინისტროს აპარატის მიერ კონტრაქტორისთვის¹³ გადახდილ საავანსო თანხას. ფონდმა აქტივი მიიღო ლარებში განსაზღვრული თანხით, თუმცა ბუღალტრულად 2015 წელს გადარიცხული საავანსო თანხა – 2,379,092 ევრო და არაფინანსური აქტივის თანხა – 100,000 ევრო აღრიცხა 2018 წლის 27 აგვისტოს კურსის ეკვივალენტით ლარში, შესაბამისად, 7,087,553 და 297,910 ლარის ოდენობით. გამომდინარე აქედან, 1,754,215 ლარით გადააფასა გრანტის სახით მიღებული შემოსავალი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში გრანტის სახით მიღებული შემოსავალი არასწორად არის გაზრდილი 1,754,215 ლარით.

საკითხი 1.8 გრანტები (ხარჯები)

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში საბიუჯეტო სახსრებიდან გრანტების სახით გაწეულ ხარჯებში ასახულია 147,061,587 ლარი, რის საფუძველადაც გამოყენებულია მხოლოდ კონტრაქტორებთან გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები. აღნიშნული ხარჯის გაწევის შედეგად იქმნება ძირითადი აქტივი,¹⁴ რომელიც გადაეცემა მუნიციპალიტეტებს, თუმცა ფონდის საბუღალტრო მონაცემებში აქტივის შექმნის ოპერაციები არ ფიქსირდება და პირდაპირ „გრანტის“ მუხლით გაწეულ ხარჯად აღიარდება, რაც, თავის მხრივ, მიუთითებს, რომ აქტივის შექმნის ეტაპზე კონტროლის მექანიზმი არ არსებობს.

ფონდმა გრანტის სახით გაწეული ხარჯის საფუძველად ვერ წარმოადგინა ბენეფიციარებისთვის აქტივების გადაცემის დამადასტურებელი დოკუმენტაცია. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ შესაბამისი რწმუნება 147,061,587 ლარის გრანტის ხარჯად აღიარების შესახებ. ზემოაღნიშნული თანხიდან 641,554 ლარი უნდა აღრიცხულიყო სუბსიდიის ხარჯად, ნაცვლად – გრანტის ხარჯისა, რადგან არაფინანსური აქტივის მიმღები ბენეფიციარი კერძო სუბიექტია.

საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტი¹⁵ შესრულებული სამუშაოების საფუძველზე შექმნილ ძირითად აქტივებს¹⁶ „გრანტების“ მუხლით გადასცემს შესაბამის მუნიციპალიტეტებს. 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში აღნიშნული მუხლით გაწეული ხარჯი შეადგენს 43,251,951 ლარს, ხოლო წარმოდგენილი დოკუმენტაციის¹⁷ საფუძველზე გადაცემული აქტივის მოცულობა შეადგენს 41,169,733 ლარს, რაც 2,082,218 ლარით ნაკლებია ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულზე.

შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში გრანტების სახით გაწეული ხარჯები არასწორად არის გაზრდილი 2,082,218 ლარით, ხოლო 147,061,587 ლარის გრანტის ხარჯად აღიარების შესახებ, შესაფერისი მტკიცებულებები ვერ მოვიპოვეთ.

¹³ კომპანია POMA.

¹⁴ მუნიციპალური განვითარების ფონდი სხვადასხვა მუნიციპალიტეტისთვის ქმნის ისეთ აქტივებს, როგორიცაა: წყალმომარაგების სისტემების რეაბილიტაცია, საზაფხურო დიზაინი და მშენებლობა, პარკების რეაბილიტაცია, ტურისტული ინფრასტრუქტურის მოწყობა და ა.შ.

¹⁵ გზების დეპარტამენტი მუნიციპალიტეტებს გრანტის სახით გადასცემს ადგილობრივ გზებს.

¹⁶ ადგილობრივი მნიშვნელობის გზები.

¹⁷ მიღება-ჩაბარების აქტი.

საკითხი 1.9 სუბსიდიები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში „სუბსიდიების“ მუხლით გაწეული ხარჯი შეადგენს 14,740,197 ლარს. გამოვლინდა, რომ 1,243,705 ლარის ოდენობის სუბსიდიის ხარჯი, ნაცვლად 2017 წლისა, მიკუთვნებულია 2018 წლისთვის.

შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N2-ში „სუბსიდიის“ მუხლი არასწორად არის გაზრდილი 1,243,705 ლარით.

საკითხი 1.10 არასაოპერაციო შემოსავლები და ხარჯები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდმა გადააფასა გაცემული ავანსები, რაც აღრიცხვის ინსტრუქციის დარღვევას წარმოადგენს.¹⁸ გადაფასების შედეგად მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 635,154 ლარი, ხოლო ზარალმა – 1,241,545 ლარი.

ასევე: ფონდის მიერ მყარი ნარჩენების მართვის პროექტის ფარგლებში გადაფასებულია მუნიციპალიტეტებზე დასარიცხი გრძელვადიანი სასესხო მოთხოვნა. აღნიშნული სესხი მუნიციპალიტეტებზე გაცემულია ლარში, შესაბამისად, 3,095,447 ლარით გაზრდილია არასაოპერაციო ხარჯების ანგარიში.

შესაბამისად, 2018 წლის 31 დეკემბრის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების ფორმა N4-ში „კურსთაშორისი სხვაობით მიღებული შემოსავალი“ არასწორად არის გაზრდილი 635,154 ლარით, ხოლო „კურსთაშორისი სხვაობით მიღებული ზარალი“ არასწორად არის გაზრდილი 4,336,992 ლარით.

¹⁸ მუხლი 42, პუნქტი 19.

აუდიტი წარმართეთ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. პასუხისმგებლობა, რომელსაც აღნიშნული სტანდარტები ჩვენთვის ითვალისწინებს, დაწვრილებით არის აღწერილი ჩვენი ანგარიშის ნაწილში სახელწოდებით – „აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსური ანგარიშგების აუდიტთან დაკავშირებით“. ჩვენ ვართ უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო ორგანიზაციის (INTOSAI) მოთხოვნების შესაბამისად ორგანიზაციისგან დამოუკიდებელი აუდიტორები და შესრულებული გვაქვს INTOSAI-ის მიერ დაწესებული სხვა ეთიკური ვალდებულებებიც. გვჯერა, ჩვენ მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისია მოსაზრების გამოსათქმელად საჭირო საფუძვლის შესაქმნელად.

2. მნიშვნელოვან გარემოებათა ამსახველი აბზაცი

საკითხი 2.1

დეპოზიტზე დარიცხული საპროცენტო სარგებელი

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდმა საკუთარი სახსრების ანგარიშზე 2017 წლის 29 დეკემბერს კაპიტალური პროექტების დაფინანსების მიზნით, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროდან მიიღო 91,936,465 ლარი. აქედან, მთავრობის 2017 წლის 18 დეკემბრის N2635 განკარგულებით – 61,012,000 ლარი, სახელმწიფო სერვისების მიწოდების უზრუნველსაყოფად საჭირო შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის,¹⁹ ხოლო მთავრობის 2017 წლის 8 დეკემბრის N2570 განკარგულებით – 30,924,465 ლარი, ადმინისტრაციული შენობა-ნაგებობების მშენებლობისთვის. აღნიშნული თანხებიდან 9,900,000 ლარი 2018 წლის დასაწყისში ფონდმა დაუბრუნა ეკონომიკის სამინისტროს, ხოლო 82,012,000 ლარი განათავსა კომერციული ბანკების სადეპოზიტო ანგარიშებზე სარგებლის მიღების მიზნით. პროექტების განხორციელება აუდიტის დასრულების თარიღისთვის ჯერ არ იყო დაწყებული და შესაძლოა, 2019 წლის ბოლომდეც ვერ განხორციელდეს.

გამომდინარე აქედან, მთავრობის ზემოხსენებული განკარგულებების მოთხოვნები ჯერ არ შესრულებულა. ამასთანავე, ფონდმა მიიღო საპროცენტო სარგებელი 4,842,449 ლარის ოდენობით, რომელსაც განკარგავს, როგორც საკუთარ შემოსავალს.

გარდა ამისა, იზრდება რისკი, რომ პროექტის განხორციელების შემთხვევაში შესყიდვის პროცედურები ჩატარდეს დაჩქარებული გზით, რამაც შესაძლოა ვერ უზრუნველყოს გამოყოფილი სახსრების ეკონომიური ხარჯვა.

საკითხი 2.2

სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით სსიპ – ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის საგადასახადო ბარათზე ჯამური დადებითი სალდო შეადგენდა 1,997,808 ლარს, რაც ფინანსური ანგარიშების ფორმა N1-ში „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივების“ მუხლში არ იყო ასახული.

აღსანიშნავია, რომ აუდიტის პერიოდში ცენტრმა დააკორექტირა შემოსავლების სამსახურში დეკლარაციები და გამოვლენილი უზუსტობა გაასწორა.

საკითხი 2.3

ძირითადი აქტივები

სამინისტროს აპარატს საქართველოს მთავრობის განკარგულებით²⁰ გადაეცა პროგრამები,²¹ რომლებიც ითვალისწინებდნენ იძულებით გადაადგილებულ პირთა ინფრასტრუქტურული პროექტების ადმინისტრირებასა და ინფრასტრუქტურული პროექტების მხარდაჭერის ღონისძიებებს. აღნიშნული პროგრამების განსახორციელებლად სამინისტროს აპარატმა არაფინანსური აქტივების²² შექმნის მიზნით გასწია 4,546,225 ლარის ხარჯი, რაც ფინანსურ ანგარიშგებაში არ ასახა. შესაბამისად, „ძირითადი აქტივების“ მუხლი არასწორად იყო შემცირებული 4,546,225 ლარით.

სსიპ – საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდს 2018 წლის 27 დეკემბერს მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე საქართველოს მთავრობის დადგენილებით²³ გადმოეცა ზემოაღნიშნული პროგრამული კოდების

¹⁹ ბიზნესსახლი

²⁰ საქართველოს მთავრობის განკარგულება N1420, „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზოგიერთი პროგრამული კოდის ასიგნებების განმკარგავების განსაზღვრის თაობაზე“.

²¹ პროგრამული კოდები: 34010104 და 340206.

²² იძულებით გადაადგილებული პირებისთვის საცხოვრებელი სახლების მშენებლობა.

²³ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 24 ივლისის N371 დადგენილებით განსაზღვრული სამთავრობო კომისიის N5 სხდომის ოქმი.

ფარგლებში შექმნილი 13,812,459 ლარის „ძირითადი აქტივები“ და 68,409 ლარის ღირებულების „სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები“. აღნიშნული აქტივები არ იყო ასახული ფონდის 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით მომზადებულ ფინანსურ ანგარიშგებაში. შედეგად, აქტივები არასწორად იყო შემცირებული 13,880,868 ლარით.

აუდიტის პერიოდში სამინისტროს აპარატსა და ფონდს ვაცნობეთ ზემოაღნიშნული უზუსტობების შესახებ. საპასუხოდ, უწყებებმა დააკორექტირეს „ძირითადი აქტივების“ და „სხვა მოკლევადიანი აქტივების“ მუხლები და წარადგინეს დაზუსტებული ფინანსური ანგარიშგება.

საკითხი 2.4 ვადაგადაცილებული მოთხოვნები

სსიპ – საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს აღრიცხული აქვს სს „საგზაო კომპანია თბილისის“ მიმართ დებიტორული დავალიანება 5,136,599 ლარის ოდენობით, რომელიც წარმოადგენს 2015 წლის 30 იანვრის გაცემულ ავანსს. აღნიშნულ ვადაგადაცილებულ დავალიანებასთან დაკავშირებით მიმდინარეობს სასამართლო დავა.

საკითხი 2.5 სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლში ასახული იყო ნოტარიუსის სადეპოზიტო ანგარიშზე განთავსებული 2,449,789 ლარი, რომელიც წარმოადგენდა ექსპროპრიაციის წესით მიღებული ქონების ღირებულებას. აქედან, 1,283,360 ლარი იყო შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმისთვის“ ასანაზღაურებელი თანხა. გამოვლინდა, რომ შპს „სოკარ ჯორჯია პეტროლიუმს“ კუთვნილი თანხა მიღებული ჰქონდა 2017 წლის 30 მარტს და შესაბამისად, ფონდის მიერ წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაში „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლი არასწორად იყო გაზრდილი 1,283,360 ლარით.

აუდიტის პერიოდში ფონდს ვაცნობეთ ზემოაღნიშნული უზუსტობის შესახებ. საპასუხოდ, ფონდმა დააკორექტირა „სხვა მოკლევადიანი მოთხოვნების“ მუხლი და წარადგინა დაზუსტებული ფინანსური ანგარიშგება.

საკითხი 2.6 გრანტები (ხარჯები)

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით წარდგენილი ფინანსური ანგარიშგების მიხედვით, ფონდის გრანტების ხარჯი ჯამში შეადგენს 160,158,628 ლარს, რომელიც შეიცავს არაფინანსური აქტივის შექმნისთვის გახარჯულ²⁴ 1,186,214 ლარს.

აუდიტის პერიოდში ფონდს ვაცნობეთ ზემოაღნიშნული უზუსტობების შესახებ. საპასუხოდ, ფონდმა შეამცირა „გრანტების“ მუხლი, გაზარდა „დაუმთავრებელი არაფინანსური აქტივები“ 1,186,214 ლარით და წარადგინა დაზუსტებული ფინანსური ანგარიშგება.

საკითხი 2.7 სუბსიდიები

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის „სუბსიდიების“ მუხლით გაწეული ხარჯი 2018 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში შეადგენდა 15,190,242 ლარს. გამოვლინდა, რომ აღნიშნული მუხლით გაწეული ხარჯი 450,000 ლარით არ შეესაბამება ხარჯად აღიარების კრიტერიუმს.²⁵ 450,000 ლარით უნდა გაზრდილიყო დაუმთავრებელი არაფინანსური აქტივი.

²⁴ შესყიდვა განხორციელდა „შესყიდვები წინა წლების ავანსების შემცირების“ მუხლით.

²⁵ რადგან შექმნილია არაფინანსური აქტივი, რომელიც ფონდმა შეისყიდა „შესყიდვები წინა წლების ავანსების შემცირების“ მუხლით.

აუდიტის პერიოდში ფონდმა გაითვალისწინა გამოვლენილი უზუსტობა ზემოაღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით, დააკორექტირა „სუბსიდიის“ მუხლი და წარადგინა დაზუსტებული ფინანსური ანგარიშგება.

საკითხი 2.8
გრძელვადიანი და
მოკლევადიანი
ვალდებულებების
გამიჯვნა

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდს და საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტს 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებების“ და „კრედიტორული დავალიანების“ მუხლში ასახული აქვს შესაბამისად, 49,890,593 და 64,111,345 ლარის ვალდებულებები, რომლებიც შესაძლებელია მომწოდებლის მიერ წარმოდგენილი საბანკო გარანტიის საფუძველზე ნებისმიერ დროს დაიფაროს. გამომდინარე აქედან, ვალდებულებების ნაწილი შესაძლოა არ აკმაყოფილებდეს გრძელვადიან ვალდებულებად აღიარების კრიტერიუმს.

შესაბამისად, უნდა შემუშავდეს ვალდებულებების აღრიცხვის ერთიანი პოლიტიკა და განისაზღვროს ვალდებულებების დაფარვის ვადები, რომლის გათვალისწინებით, მოხდება გრძელვადიანი ვალდებულებების მოკლევადიან ვალდებულებებში გადატანა, ხოლო დარჩენილი ნაწილი აღიარდება რეალური ღირებულებით (მომავალში გადასახდელი თანხების დისკონტირებული ღირებულებით).

3. სხვა გარემოებები

საკითხი 3.1

ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია

სსიპ – მუნიციპალური განვითარების ფონდის აღმასრულებელი დირექტორის 2018 წლის 11 დეკემბრის Ns-133 ბრძანებით, ფინანსური აქტივებისა და ფინანსური ვალდებულებების გეგმური ინვენტარიზაციის მიზნით, შეიქმნა საინვენტარიზაციო კომისია, რომელსაც დაევალა 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაცია და ინვენტარიზაციის აქტის წარდგენა ფონდის აღმასრულებელი დირექტორისათვის 2019 წლის პირველ მარტამდე. ფინანსური მართვისა და ინვესტირების სამსახურის ფინანსური აღრიცხვისა და ანგარიშგების მენეჯერის²⁶ ინფორმაციით, აღნიშნულთან დაკავშირებით საინვენტარიზაციო აქტი არ შემდგარა და შედარების აქტების გაფორმებაც არ არის დასრულებული აუდიტის ანგარიშის გამოცემის თარიღისთვის.

ზემოხსენებული აქტივების კატეგორიების ინვენტარიზაციის სრულყოფილად ჩატარება მნიშვნელოვანია ფინანსურ ანგარიშგებაში ინფორმაციის სამართლიანი და უტყუარი წარდგენისათვის, ასევე აქტივების უდანაკარგოდ და ეფექტიანად მართვისთვის.

საკითხი 3.2

ძირითადი აქტივები

ფონდის 2018 წლის 31 დეკემბრის ფინანსური ანგარიშგება არ მოიცავს მიწის ორ ნაკვეთს:

- გარდაბანი, სოფ. ფონიჭალა – 2400 კვ.მ ფართი;
- ქ. თბილისი, რუსთავის გზატკეცილი – 238 კვ.მ ფართი.

აღნიშნული მიწის ნაკვეთები გადმოცემულია 2013-2017 წლებში. ჩვენთვის უცნობია საბალანსო ღირებულება, რომლითაც შემცირებულია „არაწარმოებული აქტივების“ მუხლი.

საკითხი 3.3

სხვა მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში გაორმაგებულად არის ასახული ამხანაგობა „დაგი-სკის“ მიმართ მოკლევადიანი და გრძელვადიანი ვალდებულებები, ჯამში: 103,964 ლარით, რის გამოც აღნიშნული მუხლი არასწორად არის გაზრდილი ამავე ოდენობის თანხით.

საკითხი 3.4

საპროცენტო შემოსავალი

ევროპის რეკონსტრუქციისა და განვითარების ბანკის (EBRD) მიერ საქართველოში მყარი ნარჩენების მართვის პროექტის განსახორციელებლად მუნიციპალიტეტებზე ფონდის მიერ გადასესხებულია 27,922,000 ლარი, რომელიც თავად ფონდს მიღებული აქვს სესხად ფინანსთა სამინისტროდან.

აღნიშნულ სესხზე ფონდის მიერ გადასახდელ პროცენტს ფინანსთა სამინისტრო ითვლის წელიწადში ორჯერ და დათვლისათვის იყენებს 28 აპრილს და 28 ოქტომბერს არსებულ რეფინანსირების განაკვეთს. თავის მხრივ, ფონდი მუნიციპალიტეტებთან გაფორმებული ხელშეკრულებების საფუძველზე, უფლებამოსილია მიიღოს: ზემოაღნიშნულ პროცენტს დამატებული 0.5% სარგებელი.

მიუხედავად ზემოაღნიშნულისა, ფონდი იყენებს პროცენტის დათვლის განსხვავებულ მიდგომას და მუნიციპალიტეტებიდან მისაღებ პროცენტს ითვლის ყოველთვიური რეფინანსირების განაკვეთის გამოყენებით. აღნიშნულმა მიდგომამ 2018 წელს გამოიწვია მიღებული სარგებლის ზრდა. კერძოდ, აუდიტის ჯგუფის მიერ საპროცენტო შემოსავლის გაანგარიშებისას გამოვლინდა, რომ ფონდმა მიიღო 5%-იანი სარგებელი – 0.5%-ის ნაცვლად. 2018

²⁶ კომისიის წევრი.

წლის შემოსავალმა თანხობრივად 18,555 ლარის ნაცვლად შეადგინა 199,127 ლარი, რაც 180,572 ლარით აღემატება ფონდის მიერ მისაღებ სარგებელს. შესაბამისად, მუნიციპალიტეტებს ჯამურად 2018 წლის განმავლობაში დაერიცხათ 180,572 ლარით მეტი საპროცენტო ხარჯი.

მიუხედავად პროექტის ფარგლებში მიღებული შემოსავლებისა, ზემოაღნიშნული პროექტი ფონდისთვის ზარალიანია, ვინაიდან მთლიანი საპროცენტო შემოსავლის 10%-ს იხდის ბიუჯეტში გადასახადის სახით.²⁷

საკითხი 3.5 ხარჯები

ფონდის ფინანსურ ანგარიშგებაში დანართი N2-ში ხარჯების საკასო შესრულება არასწორად არის შემცირებული 105,139 ლარით, სახაზინო მონაცემებთან შედარებით, რადგან ფონდს არ ჰქონდა ასახული იძულებით გადაადგილებულ პირთა ინფრასტრუქტურული პროექტების ადმინისტრირების პროგრამული კოდი: 34010104.

საკითხი 3.6 გრანტები (ხარჯები)

ფონდს ფინანსურ ანგარიშგებაში გაორმაგებულად აქვს ასახული ორი ავტომობილის სამინისტროს აპარატისთვის გადაცემის საბუღალტრო გატარება. შესაბამისად, არასწორად არის გაზრდილი გრანტის სახით გაწეული ხარჯები 65,466 ლარის ოდენობით.

საკითხი 3.7 აღრიცხვა-ანგარიშგება

ფონდი ბუღალტრულ აღრიცხვას აწარმოებს სისტემატიზებული საბუღალტრო პროგრამა „ორისის“ მეშვეობით. აღსანიშნავია, რომ აუდიტის დროს ფონდის მიერ მოწოდებულ „ორისის“ მონაცემებში დაფიქსირდა სხვადასხვა უზუსტობა, კერძოდ:

- წლის ბოლოს არსებული უცხოური ვალუტის გაცვლითი კურსით გადაფასებული იყო ისეთი ნაშთები, რომლებიც არ ექვემდებარებოდა გადაფასებას;
- კონკრეტული დოკუმენტები დუბლირებით იყო გატარებული;
- ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად „ორისის“ მონაცემებთან ერთად გამოიყენება დამატებითი სხვადასხვა, მათ შორის, არასისტემატიზებულად არსებული ინფორმაცია.

ზემოთ აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ ფონდი სრულყოფილად არ იყენებს სისტემატიზებულ პროგრამაში არსებულ სხვადასხვა ტიპის კონტროლის მექანიზმებს, რაც ზრდის ფინანსური ანგარიშგების შეცდომით წარდგენის რისკებს.

საკითხი 3.8 სააღრიცხვო პოლიტიკა

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებულ არცერთ უწყებაში არ არის შემუშავებული და დანერგილი ბუღალტრული აღრიცხვის ინსტრუქციით განსაზღვრული სააღრიცხვო პოლიტიკა. აღნიშნული პოლიტიკა შესაძლებელია მოიცავდეს ინსტრუქციას შემდეგი საკითხების აღრიცხვის შესახებ: უიმედო ვალები, მოძველებული მატერიალური ფასეულობები, ფინანსური აქტივები და ვალდებულებები, ცვეთად აქტივებზე გაწეული დანახარჯები და სხვ. სააღრიცხვო პოლიტიკის შემუშავება, დანერგვა და გამოყენება ორგანიზაციაში აღრიცხვის თანმიმდევრულობის ერთ-ერთი მთავარი წინაპირობაა.

²⁷ საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის შესაბამისად, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-12 მუხლის მე-4 პუნქტი.

4. ხელმძღვანელობის და აუდიტორის პასუხისმგებლობა

ხელმძღვანელი პირების ვალდებულებები ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებასა და სამართლიან წარდგენაზე „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის შესაბამისად, ასევე შიდა კონტროლზე, რომელსაც იგი აუცილებლად მიიჩნევს ისეთი კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მოსამზადებლად, რომელიც არ შეიცავს თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას. კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას, ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობაა, შეაფასოს ორგანიზაციის უნარი – უწყვეტად განაგრძოს საჯარო მომსახურების მიწოდება, როგორც ფუნქციონირებადმა ერთეულმა, აგრეთვე საჭიროების შემთხვევაში, უნდა გაამჟღავნოს ფუნქციონირებადობასთან დაკავშირებული ყველა მნიშვნელოვანი საკითხი და გამოიყენოს აღნიშნული პრინციპი ბუღალტრულ აღრიცხვაში, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც სახელმწიფოს გადაწყვეტილი აქვს ორგანიზაციის ლიკვიდაცია ან საქმიანობის შეწყვეტა. ხელმძღვანელი პირები პასუხისმგებელი არიან კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომზადების პროცესის კონტროლზე.

აუდიტორის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

ჩვენი მიზანია, მოვიპოვოთ დასაბუთებული რწმუნება იმის თაობაზე, შეიცავს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება თაღლითობით ან შეცდომით გამოწვეულ არსებით უზუსტობას და გამოვცეთ აუდიტის დასკვნა, რომელიც მოიცავს აუდიტის მოსაზრებას. დასაბუთებული რწმუნება არის რწმუნების მაღალი დონე, მაგრამ ის არ წარმოადგენს გარანტიას, რომ ISSAI-ს მიხედვით ჩატარებული აუდიტი ყოველთვის გამოავლენს არსებით უზუსტობას. უზუსტობები შეიძლება გამოწვეული იყოს თაღლითობით ან შეცდომით და ჩაითვლება არსებითად, თუ მოსალოდნელია, რომ ცალკე ან ჯამურად ისინი ზეგავლენას მოახდენენ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების მომხმარებელთა ეკონომიკურ გადაწყვეტილებებზე. ISSAI-ის შესაბამისად, ჩატარებული აუდიტის ფარგლებში, ჩვენ ვიყენებთ პროფესიულ მსჯელობას და ვინარჩუნებთ პროფესიულ სკეპტიციზმს აუდიტის მსვლელობისას. ამასთანავე:

ვახდენთ კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში არსებითი უზუსტობის რისკის იდენტიფიცირებას და შეფასებას, რომელიც შესაძლოა დაშვებულ იქნეს თაღლითობის ან შეცდომის გამო, ვსაზღვრავთ და ვატარებთ ამ რისკების შესაფერის აუდიტორულ პროცედურებს და მოვიპოვებთ ჩვენი დასკვნის გამოსატანად საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს. რისკი იმისა, რომ თაღლითობით გამოწვეული არსებითი უზუსტობა არ იქნება აღმოჩენილი, უფრო მაღალია, ვიდრე შეცდომით დაშვებულის, რადგან თაღლითობა შესაძლოა მოიცავდეს მოლაპარაკებას, გაყალბებას, განზრახ ინფორმაციის გამოტოვებას, დამახინჯებას ან დადგენილი შიდა კონტროლის მექანიზმების იგნორირებას;

ვსწავლობთ შიდა კონტროლის ფუნქციონირებას ისეთი აუდიტორული პროცედურების შესამუშავებლად, რომლებიც შესაფერისია არსებულ

გარემოებებთან და არა იმისათვის, რომ გამოვხატოთ მოსაზრება შიდა კონტროლის ეფექტიანად მუშაობის თაობაზე;

ვაფასებთ აღრიცხვის პოლიტიკის შესაფერისობას და სააღრიცხვო შეფასებების და ხელმძღვანელი პირების მიერ მოწოდებული განმარტებების გონივრულობას; ვასკვნით, ხელმძღვანელი პირების მიერ ბუღალტრული აღრიცხვის ფუნქციონირებადობის პრინციპის გამოყენების მიზანშეწონილობას და მოპოვებულ აუდიტორულ მტკიცებულებებზე დაყრდნობით - არსებობს თუ არა ამ მოვლენებთან და პირობებთან დაკავშირებული არსებითი განუსაზღვრელობა, რაც მნიშვნელოვან ეჭვს გამოიწვევდა სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების უნარში, განაგრძონ ფუნქციონირება. თუ დავასკვნით, რომ არსებობს არსებითი განუსაზღვრელობა, ჩვენ ვალდებული ვართ ყურადღება გავამახვილოთ აუდიტორულ დასკვნაში სათანადო განმარტებებზე კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაში ან, თუ ასეთი განმარტებები ადეკვატური არ არის, მოვახდინოთ მოსაზრების მოდიფიცირება. ჩვენი დასკვნები დაფუძნებულია აუდიტორულ მტკიცებულებებზე, რომლებიც მოპოვებულ იქნა აუდიტის დასკვნის თარიღისთვის. თუმცა, მომავალმა მოვლენებმა ან პირობებმა შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს სამინისტროს ან/და მისდამი დაქვემდებარებული ერთეულების ფუნქციონირებადობის საკითხი;

ვაფასებთ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების წარდგენას მთლიანობაში, მის სტრუქტურასა და შინაარსს, აგრეთვე უზრუნველყოფს თუ არა კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება ოპერაციების და მოვლენების სამართლიანად წარდგენის კრიტერიუმებს;

მოვიპოვეთ საკმარის და შესაფერის აუდიტორულ მტკიცებულებებს სამინისტროსადმი დაქვემდებარებული ორგანიზაციების ფინანსური ინფორმაციის შესახებ, რათა შევძლოთ გამოვხატოთ მოსაზრება კონსოლიდირებულ ფინანსურ ანგარიშგებაზე. ჩვენ პასუხისმგებელი ვართ აუდიტის მსვლელობის ხელმძღვანელობაზე, ზედამხედველობასა და განხორციელებაზე. აგრეთვე ჩვენ სრულად ვაგებთ პასუხს ჩვენს აუდიტორულ დასკვნაზე;


ხელმძღვანელობას სხვა საკითხებთან ერთად ვაწვდით ინფორმაციას აუდიტის მასშტაბისა და ვადების, აგრეთვე აუდიტის პროცესში წამოჭრილი მნიშვნელოვანი შედეგების, მათ შორის, შიდა კონტროლის სისტემაში გამოვლენილი მნიშვნელოვანი ნაკლოვანებების შესახებ.

აუდიტორების ხელმოწერა

შორენა თირქია
უფროსი აუდიტორი

რაინ ყუფუნია
წამყვანი აუდიტორი


კორნელი გაბლიშვილი
უფროსი აუდიტორი



ალექსანდრე მღებრიშვილი
უფროსი აუდიტორი



თათია ცისკარაული
აუდიტორი



დინა ცოტაძე
აუდიტორ-ასისტენტი



მკო ხუცურაული
აუდიტორ-ასისტენტი



სარდიონ მოსეშვილი
აუდიტორი-ასისტენტი



ფინანსური ანგარიშგების ფორმები

ფორმა N1. ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიში (ბალანსი)

დასახელება	31/12/2017	31/12/2018
აქტივები		
მოკლევადიანი აქტივები		
ფულადი სახსრები	377,379,434	333,313,063
სხვა მოკლევადიანი ფინანსური აქტივები	18,406,877	37,085,156
სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	371,446,316	792,289,004
სხვა მატერიალური მარაგები	5,927,261	5,765,124
სულ მოკლევადიანი აქტივები	773,159,888	1,168,452,347
გრძელვადიანი აქტივები		
გრძელვადიანი ფინანსური აქტივები და მოთხოვნები	842,514,298	921,086,315
სტრატეგიული მარაგები	0	0
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები	124,856	158,159
ძირითადი აქტივები	4,012,279,857	4,612,518,400
ფასეულობები	0	0
არაწარმოებული აქტივები	132,055,733	193,094,166
საინვესტიციო ქონება	0	0
სულ გრძელვადიანი აქტივები	4,986,974,744	5,726,857,040
ბალანსი	5,760,134,632	6,895,309,387
ვალდებულებები		
მოკლევადიანი ვალდებულებები და სხვა კრედიტორული დავალიანებები		
მოკლევადიანი ფინანსური ვალდებულებები	228,007,597	197,395,069
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები	18,975,683	18,582,754
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	246,983,280	215,977,823
გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები და კრედიტორული დავალიანებები	70,143,221	114,001,928
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	70,143,221	114,001,928
სულ ვალდებულებები	317,126,501	329,979,751
კაპიტალი		
აქტივების წმინდა ღირებულება	5,275,439,716	6,406,877,916
გაუნაწილებელი მოგება	167,568,413	158,451,720
დაუფარავი ზარალი	0	0
სულ კაპიტალი	5,443,008,129	6,565,329,636
ბალანსი	5,760,134,630	6,565,329,636

ფორმა N2. ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიში

დასახელება	საბიუჯეტო სახსრები	ეკონომიკური საქმიანობა	სულ	2017 წელი
ბიუჯეტიდან დაფინანსება	1,668,777,209		1,668,777,209	1,355,746,365
შემოსავლები	18,391,648	16,183,681	34,575,329	117,388,205
გადასახადები				
სოციალური შენატანები				
გრანტები	13,941,213	(1,041,032)	12,900,181	103,219,846
სხვა შემოსავლები	4,450,435	17,224,713	21,675,148	14,168,359
შემოსავლები საკუთრებიდან				
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია				
სანქციები, ჯარიმები, საურავები	2,731,039	290,379	3,021,418	2,027,948
ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გარდა გრანტებისა	1,058,520	149,028	1,207,548	159,528
სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	660,876	16,785,306	17,446,182	11,980,883
სულ	1,687,168,857	16,183,681	1,703,352,538	1,473,134,570
ხარჯები				
მომუშავეთა ანაზღაურება	8,988,933	2,871,661	11,860,594	10,859,860
საქონელი და მომსახურება	121,933,204	1,091,274	123,024,478	106,231,352
ძირითადი კაპიტალის მოხმარება	102,637,225	346,014	102,983,239	83,247,685
პროცენტი		1,993,467	1,993,467	
სუბსიდიები	44,174,833		44,174,833	122,279,146
გრანტები	273,906,384	11,845,361	285,751,745	267,488,173
სოციალური უზრუნველყოფა	362,437	99,427	461,864	311,104
სხვა ხარჯები	2,609,813	326,641	2,936,454	21,914,543
სულ:	554,612,829	18,573,845	573,186,674	612,331,863
ფინანსური შედეგი	1,132,556,028	(2,390,164)	1,130,165,864	860,802,707

ფორმა N3. ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიში

დასახელება	ხაზინის ერთიანი ანგარიში	საკუთარი ფულადი სახსრები	მესამე პირის გადახდები	სულ
წმინდა ღირებულება/მოგება ზარალი	792,682,699	(9,116,693)	338,755,500	1,122,321,506
კორექტირებები:	362,164,380	5,129,497		367,293,877
ცვეთა (+)	102,637,226	346,014	-	102,983,240
აქტივების (გარდა მატერიალური მარაგებისა და გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივებისა) და ვალდებულებების, არაფულადი ოპერაციებით და სხვა მოვლენებით, წმინდა მიღება (-/+)	258,990,303	982,914		259,973,217
მატერიალური მარაგების ზრდა/კლება (-/+)	160,483	1,653	-	162,136
გრძელვადიანი მცირეფასიანი აქტივები (-/+)	(29,613)	(3,692)	-	(33,305)
დებიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (-/+)	6,745,233	4,541,556	-	11,286,789
კრედიტორული დავალიანებების ზრდა/კლება (+/-)	(6,339,252)	(738,948)	-	7,078,200
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან	1,154,847,079	(3,987,196)	338,755,500	1,489,615,383
ფულადი სახსრების ნაკადები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან				
არაფინანსური აქტივების გაყიდვა				
ძირითადი აქტივები				
სტრატეგიული მარაგები				
ფასეულობები				
არაწარმოებული აქტივები				
საინვესტიციო ქონება				
არაფინანსური აქტივების შესყიდვა	1,100,862,186	2,665,796	201,757,440	1,305,285,422
ძირითადი აქტივები	1,040,206,328	2,665,796	201,757,440	1,244,629,564
სტრატეგიული მარაგები	-	-	-	-
ფასეულობები	-	-	-	-
არაწარმოებული აქტივები	60,655,858	-	-	60,655,858
საინვესტიციო ქონება				
წმინდა ფულადი სახსრები არაფინანსურ აქტივებში განთავსებული ინვესტიციებიდან	(1,100,862,186)	(2,665,796)	(201,757,440)	(1,305,285,422)
ფულადი სახსრების ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან				
წმინდა ფინანსური აქტივები, გარდა ფულადი სახსრებისა	(51,696,034)	(9,063,968)	(136,998,060)	(197,758,062)
წმინდა ვალდებულებების წარმოქმნა	33,851,245	3,212,980	-	(30,638,265)
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან	(85,547,279)	(5,850,988)	(136,998,060)	(228,396,327)
ფულადი სახსრების მარაგების წმინდა ცვლილება	(31,562,386)	(12,503,980)	-	(44,066,366)
ფულადი სახსრების ნაშთი წლის დასაწყისში	227,219,306	150,160,123	-	377,379,429
ფულადი სახსრების ნაშთი წლის ბოლოს	195,656,920	137,656,143	-	333,313,063
ვალუტა და დეპოზიტებით მიღებული კურსთაშორის სხვაობა (-/+)	(2,357,991)	2,947,429	-	589,438
დროებით შეზღუდული თანხები (აკრედიტივები)	-	-	-	-

ფორმა N4. კაპიტალში ცვლილების შესახებ ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტი	ეკონომიკური საქმიანობა	სულ
საწყისი ნაშთი	5,275,439,716	167,568,413	5,443,008,129
სააღრიცხვო პოლიტიკის ცვლილებები			
წინა პერიოდ(ებ)ის შეცდომები			
გადაანგარიშებული საწყისი ნაშთი	5,275,439,716	167,568,413	5,443,008,129
არასაოპერაციო შემოსავლები	347,480,757	2,335,174	349,815,931
კურსთაშორის სხვაობით მიღებული შემოსავალი	7,307,519	211,267	7,518,786
სხვა არასაოპერაციო შემოსავლები	340,173,238	2,123,907	342,297,145
არასაოპერაციო ხარჯები	344,865,024	5,349,282	350,214,306
კურსთაშორის სხვაობით მიღებული ზარალი	4,920,964	3,158,696	8,079,660
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	339,944,060	2,190,586	342,134,646
ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებები	3,731,453	3,712,421	7,443,874
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებებით	3,731,453	2,855,573	6,587,026
მოგების გადასახადი		856,848	856,848
საანგარიშგებო პერიოდის ფინანსური შედეგი	1,132,553,920	(2,390,164)	1,130,163,756
ნაშთი წლის ბოლოს	6,406,877,916	158,451,720	6,565,329,636

ფორმა N5. ბიუჯეტის და ფაქტობრივი თანხების შედარების ანგარიში

დასახელება	ბიუჯეტით დამტკიცებ ული გეგმით	დაზუსტებ ული გეგმით	გადახრა % დაზუსტებ ულსა და დამტკიცებ ულ გეგმას შორის	ფაქტობრივი (საკასო ხარჯი)	გადახრა % საკასო (ფაქტობრივ) ხარჯსა და დაზუსტებუ ლ გეგმას შორის	დარიცხუ ლი	გადახრა დარიცხულ და საკასო(ფაქტ ობრივ) ხარჯს შორის
ხარჯები	446,221,000	177,937,124	40%	177,463,488	100%	554,612,829	377,149,341
მათ შორის:	10,180,000	9,120,782	90%	8,989,028	99%	8,988,933	(95)
შრომის ანაზღაურება	10,180,000	9,120,782	90%	8,989,028	99%	8,988,933	(95)
არაფინანსური აქტივების ზრდა	936,439,000	1,235,752,600	132%	1,302,619,627	105%	-	-
ფინანსური აქტივების ზრდა	182,340,000	78,510,700	98%	188,694,094	106%	-	-
ვალდებულებებ ის კლება	-	-	-	-	-	-	-

საკონტაქტო ინფორმაცია

ვებგვერდი და სოციალური მედია

<https://www.sao.ge/>
<https://www.budgetmonitor.ge/ka>
<http://www.blog.sao.ge/>
<http://www.sai.ge/main/>
<https://www.linkedin.com/company/stateauditoffice/>
<https://www.youtube.com/user/saogeorgia>
<https://www.facebook.com/www.sao.ge>

ცხელი ხაზი

(+995 32) 243 81 81

ელექტრონული ფოსტა

sao@sao.ge

სახელმწიფო აუდიტის სამსახური
ქ.თბილისი, 0144, წმ. ქეთევან დედოფლის გამზირი N96
+995 32 243 84 38